საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1707 2018 წლის 27 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოსა და სს „ყაზტრანსგაზს“ შორის მიმდინარე საარბიტრაჟო დავასა და შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისთან“ დაკავშირებით გარკვეული ღონისძიებების განხორციელების შესახებ

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ:

ა) სს „ყაზტრანსგაზსა“ (13898-1901-AO, ყაზახეთი) და საქართველოს შორის მიმდინარეობს საარბიტრაჟო დავა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNCITRAL) საარბიტრაჟო წესების შესაბამისად (შემდგომში – საარბიტრაჟო დავა), რომლის ფარგლებშიც, მოსარჩელე მხარე – სს „ყაზტრანსგაზი“ (13898-1901-AO, ყაზახეთი) საქართველოსაგან ითხოვს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას 187,902,597.0 (ას ოთხმოცდაშვიდი მილიონ ცხრაას ორი ათას ხუთას ოთხმოცდაჩვიდმეტი) აშშ დოლარის ოდენობით და საარბიტრაჟო ხარჯების ანაზღაურებას;

ბ) სს „ყაზტრანსგაზი“ (13898-1901-AO, ყაზახეთი) არის შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ (ს/კ: 205129617) 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი;

გ) შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისსა“ (ს/კ: 205129617) და შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ შორის 2008 წლის 26 ივნისს №ნა-147/11-08, 2008 წლის 27 ნოემბერს №ნა-333/03-08, 2008 წლის 22 დეკემბერს №ნა-362/03-08 და 2008 წლის 26 დეკემბერს №ნა-370/03-08 გაფორმებული გაზის ყიდვა-გაყიდვის შესახებ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისს“ (ს/კ: 205129617) შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიმართ დაუგროვდა დავალიანება, რომლის მოთხოვნის უფლება 2010 წლის 14 ივლისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ შორის გაფორმებული მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ №19 ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და 2018 წლის 23 აგვისტოს მდგომარეობით, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ (ს/კ: 205129617) დავალიანება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინაშე შეადგენს 96,684,000.00 (ოთხმოცდათექვსმეტი მილიონ ექვსას ოთხმოცდაოთხი ათასი) ლარს;

დ) შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისს“ (ს/კ: 205129617) სს „ყაზტრანსგაზისა“ (13898-1901-AO, ყაზახეთი) და Intergas Finance BV-ის წინაშე აქვს სასესხო დავალიანებები, რომელთა ჯამური ოდენობა, 2018 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, შეადგენს 133,739,035 (ას ოცდაცამეტი მილიონ შვიდას ოცდაცხრამეტი ათას ოცდათხუთმეტი) აშშ დოლარს;

ე) შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისში“ (ს/კ: 205129617), საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 16 მარტის №3/1 გადაწყვეტილებით და აღნიშნული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 16 მარტის გადაწყვეტილების საფუძველზე, დანიშნულია სპეციალური მმართველი;

ვ) WALTBAY LTD (მარშალის კუნძულების რესპუბლიკაში რეგისტრირებული კომპანია, რეგისტრაციის №85809) დაინტერესებულია შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ (ს/კ: 205129617) 100%-იანი წილის გამოსყიდვით სს „ყაზტრანსგაზისაგან“ (13898-1901-AO, ყაზახეთი), შემდეგი პირობებით:

ვ.ა) შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ (ს/კ: 205129617) გათავისუფლდება ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში აღნიშნული დავალიანების გადახდის ვალდებულებისაგან;

ვ.ბ) შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ (ს/კ: 205129617) გათავისუფლდება სს „ყაზტრანსგაზისა“ (13898-1901-AO, ყაზახეთი) და Intergas Finance BV-ის მიმართ ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დავალიანების გადახდის ვალდებულებისაგან (განხორციელდება ვალდებულებების შეწყვეტა ვალის პატიების გზით);

ვ.გ) ამ პუნქტის „ვ.ა“ და „ვ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალების პატიების შედეგად შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისისათვის“ (ს/კ: 205129617) წარმოშობილი საგადასახადო რისკების დაზღვევას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობა;

ვ.დ) WALTBAY LTD-ის (მარშალის კუნძულების რესპუბლიკაში რეგისტრირებული კომპანია, რეგისტრაციის №85809) მიერ შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ (ს/კ: 205129617) 100%-იან წილზე საკუთრების უფლების მოპოვებამდე პერიოდზე ნებისმიერი და ყველა საგადასახადო რისკის დაზღვევას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობა.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ (ს/კ: 205129617), როგორც სისტემური მნიშვნელობის კომპანიის, ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესებისა და საქართველოსა და სს „ყაზტრანსგაზს“ (13898-1901-AO,

ყაზახეთი) შორის მიმდინარე საარბიტრაჟო დავის საქართველოსთვის ხელსაყრელი მორიგებით დასრულების მიზნით, დაევალოს:

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ამ განკარგულების პირველ პუნქტში მოცემული პირობების გათვალისწინებით, შესაბამისი განკარგულების პროექტის მომზადება და საქართველოს მთავრობისათვის განსახილველად წარმოდგენა;

ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, დაასრულოს სს „ყაზტრანსგაზთან" (13898-1901-AO, ყაზახეთი) საარბიტრაჟო დავის მორიგების მიზნით მიმდინარე მოლაპარაკებები და შესაბამისი შედეგები წარუდგინოს საქართველოს მთავრობას.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**